



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030210633020813

№ 02-275/ა

01 / მარტი / 2013 წ.

**უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილების შეტანის და სამედიცინო საქმიანობის
განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ**

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ მე-9 მუხლის, მე-16 პუნქტის, 36-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- ფაქტიური მისამართის ცვლილების გათვალისწინებით (ძველი მისამართი: ქ. ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის პირველი შესახვევი №1), შ.პ.ს. „ჯეო ჰოსპიტალს“ მიეცეს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, ფაქტიურ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, კეკელიძის და მელქაძის ქუჩების გადაკვეთა.
- ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია შეტანილ იქნას სამედიცინო დაწესებულებათა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144) ან სასამართლოში.
- ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: შ.პ.ს. „ჯეო ჰოსპიტალსის“ დირექტორის გ. კვირიკაძის განცხადება №21784 27.02.2013 წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე

